

შპს „ელექტრონი“
(ს/კ: 404987715)


ფინანსური ანგარიშგება 2018

შპს „ელექტრონი“

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

სრული შემოსავლების ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7



შპს „ელექტრონი“
(ს/კ: 404987715)

ფინანსური ანგარიშგება 2018

შპს „ელექტრონი“
სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2018 - 31.12.2018
პერიოდისთვის

შპს ელექტრონი ს/კ: 404987715		
საქმიანობის შედეგები		2018
ნეტო ამონაგები		2,091,830
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	3	2,091,830
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	(942,281)
საწყისი მარაგები		(232,444)
მარაგების შესყიდვა		(1,404,030)
საბოლოო მარაგები		694,193
საერთო მოგება		1,149,549
სხვა შემოსავალი		8,439
დასაქმებულთა ანაზღაურება	5	(893,988)
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(3,159)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(209,106)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,097,813)
საოპერაციო მოგება		51,736
<u>გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:</u>		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	8	(9,474)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		42,262
მოგება/(ზარალი)		42,262
<u>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</u>		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	9	42,262


შპს „ელექტრონი“-ს
დირექტორი ივანე მაღლაკელიძე



გვერდი 3

შპს „ელექტრონი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2018-ის თარიღისთვის

შპს ელექტრონი ს/კ: 404987715			
ფინანსური მდგომარეობა		31-12-18	31-12-17
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	49,787	745,141
მარაგები	11	694,193	232,444
სხვა		694,193	232,444
სხვა მიმდინარე აქტივები		600,887	623,673
ძირითადი საშუალებები	12	38,806	5,530
სულ აქტივები		1,383,673	1,606,788
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	13	883,538	693,897
საგადასახადო ვალდებულებები		-	13,489
სულ ვალდებულებები		883,538	707,386
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		500,135	899,402
სულ საკუთარი კაპიტალი		500,135	899,402
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,383,673	1,606,788




შპს „ელექტრონი“
(ს/კ: 404987715)

ფინანსური ანგარიშგება 2018

შპს „ელექტრონი“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2018 - 31.12.2018
პერიოდისთვის

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		899,402
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	14	(349,860)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		42,262
კაპიტალის სხვა ცვლილებები	15	(91,669)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		500,135

შპს „ელექტრონი“-ს
დირექტორი ივანე მაღლაკელიძე



შპს „ელექტრონი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ელექტრონი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 19/04/2013). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვ. სარაჯიშვილის ქ. #15. მისი ძირითადი საქმიანობაა მშენებლობებზე (ძირითადად გზების, გვირაბების) ელექტრო და ტელეკომუნიკაციებით უზრუნველყოფა, მიწოდება და მომსახურება. კომპანა საქმიანობას ანხორციელებს მხოლოდ საქართველოს ფარგლებში.

დირექტორი: ივანე მაღლაკელიძე (პ.ნ. 01002000903)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.



სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების ფაქტით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- | | |
|--------------------------------------|------------------|
| • შენობა-ნაგებობები | 5 პროცენტი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 10 – 20 პროცენტი |
| • მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა | 10 – 30 პროცენტი |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი

მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.



სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.



		2,018
ნეტო ამონაგები		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	3	2,091,830

კომპანია ახორციელებს ელექტროსადენების გაყვანილობების და განათებების სამონტაჟო სამუშაოებს სამშენებლო პროცესში. მისი ძირითადი დამკვეთი რამდენიმე იურიდიული კომპანიაა. ფიზიკურ პირებზე მომსახურების გაწევა კომპანიის მიერ არ ხორციელდება

		2,018
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	(942,281)

სამუშაოების განხორციელების პროცესში გახარჯული საქონელი, ჩამოწერილი თვითღირებულებით.

		2,018
დასაქმებულთა ანაზღაურება	5	(893,988)

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად.

		2,018
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(3,159)

კომპანია იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებების მიმართ



		2,018
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(209,106)
ტელეფონი, ინტერნეტი		(2,823)
ქონების გადასახადის ხარჯი		(388)
სხვა სამეურნეო		(6,680)
დაზ. ა/მ ხარჯი		(365)
ბანკის და ბ/გარანტიის საკომისიო		(41,967)
ქვეკონტრაქტორების მომსახურების ხარჯი		(156,883)

		2,018
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	8	(9,474)

სავალუტო ოპერაციების გადაფასებიდან მიღებული სხვაობა მოგებასა და ზარალს შორის აღიარდება თვის ჭრილში სავალუტო ანგარიშების გადაფასების შედეგად.

		2,018
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	9	42,262

პერიოდის მოგება, მოიცავს მოგების გადასახადის ხარჯს.

		2,018	2,017
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	49,787	745,141

ფულადი სახსრები ბანკში გამოსახულია ეროვნულ ვალუტაში. სავალუტე ნაშთები გადაფასებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 31/12/2018-ით გამოცხადებული გაცვლითი კურსის მიხედვით ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი - 2.6766

ფლორიდა - 3.0701



		2,018	2,017
მარაგები	11	694,193	232,444

მომსახურების შესრულების პროცესში საჭირო საქონლისა და მარაგის ნაშთი პერიოდის ბოლოსთვის

		2,018	2,017
ძირითადი საშუალებები	12	38,806	5,530

ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები შემცირებული დაგროვილი ცვეთით და ნაჩვენებია საბალანსე ღირებულებით . კომპანიის საკუთრებაში არ აღირიცხება უძრავი ქონება.

		2,018	2,017
სავაჭრო ვალდებულებები	13	883,538	693,897

სავაჭრო ვალდებულებები წარმოშობილია როგორც ადგილობრივი მომწოდებლებისგან ასევე არარეზიდენტი მომწოდებლების შესყიდვებიდან.

		2,018
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	14	(349,860)

პერიოდის განმავლობაში გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდი.

		2,018
კაპიტალის სხვა ცვლილებები	15	(91,669)

წინა პერიოდის ბალანსის შემდგომი მოვლენების კორექტირება, ასახულია კაპიტალის სხვა ცვლილებებში.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2019 წლის 30 სექტემბერს

შპს „ელექტრონი“

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

სრული შემოსავლების ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

შპს „ელექტრონი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2018 - 31.12.2018
პერიოდისთვის

შპს ელექტრონი ს/კ: 404987715		
საქმიანობის შედეგები		2018
ნეტო ამონაგები		2,091,830
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	3	2,091,830
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	(942,281)
საწყისი მარაგები		(232,444)
მარაგების შესყიდვა		(1,404,030)
საბოლოო მარაგები		694,193
საერთო მოგება		1,149,549
სხვა შემოსავალი		8,439
დასაქმებულთა ანაზღაურება	5	(893,988)
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(3,159)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(209,106)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,097,813)
საოპერაციო მოგება		51,736
<u>გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:</u>		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	8	(9,474)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		42,262
მოგება/(ზარალი)		42,262
<u>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</u>		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	9	42,262

შპს „ელექტრონი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2018-ის თარიღისთვის

შპს ელექტრონი ს/კ: 404987715			
ფინანსური მდგომარეობა		31-12-18	31-12-17
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	49,787	745,141
მარაგები	11	694,193	232,444
სხვა		694,193	232,444
სხვა მიმდინარე აქტივები		600,887	623,673
ძირითადი საშუალებები	12	38,806	5,530
სულ აქტივები		1,383,673	1,606,788
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	13	883,538	693,897
საგადასახადო ვალდებულებები		-	13,489
სულ ვალდებულებები		883,538	707,386
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		500,135	899,402
სულ საკუთარი კაპიტალი		500,135	899,402
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,383,673	1,606,788

შპს „ელექტრონი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2018 - 31.12.2018

პერიოდისთვის

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		899,402
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	14	(349,860)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		42,262
კაპიტალის სხვა ცვლილებები	15	(91,669)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		500,135

შპს „ელექტრონი“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი
შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ელექტრონი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 19/04/2013). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვ. სარაჯიშვილის ქ. #15. მისი ძირითადი საქმიანობაა მშენებლობებზე (ძირითადად გზების, გვირაბების) ელექტრო და ტელეკომუნიკაციებით უზრუნველყოფა, მიწოდება და მომსახურება. კომპანა საქმიანობას ანხორციელებს მხოლოდ საქართველოს ფარგლებში.

დირექტორი: ივანე მაღლაკელიძე (პ.ნ. 01002000903)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- | | |
|--------------------------------------|------------------|
| • შენობა-ნაგებობები | 5 პროცენტი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 10 – 20 პროცენტი |
| • მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა | 10 – 30 პროცენტი |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი

მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

		2,018
ნეტო ამონაგები		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	3	2,091,830

კომპანია ახორციელებს ელექტროსადენების გაყვანილობების და განათებების სამონტაჟო სამუშაოებს სამშენებლო პროცესში. მისი ძირითადი დამკვეთი რამდენიმე იურიდიული კომპანიაა. ფიზიკურ პირებზე მომსახურების გაწევა კომპანიის მიერ არ ხორციელდება

		2,018
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	(942,281)

სამუშაოების განხორციელების პროცესში გახარჯული საქონელი, ჩამოწერილი თვითღირებულებით.

		2,018
დასაქმებულთა ანაზღაურება	5	(893,988)

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად.

		2,018
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(3,159)

კომპანია იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებების მიმართ

		2,018
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(209,106)
ტელეფონი, ინტერნეტი		(2,823)
ქონების გადასახადის ხარჯი		(388)
სხვა სამეურნეო		(6,680)
დაზ. ა/მ ხარჯი		(365)
ბანკის და ბ/გარანტიის საკომისიო		(41,967)
ქვეკონტრაქტორების მომსახურების ხარჯი		(156,883)

		2,018
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	8	(9,474)

სავალუტო ოპერაციების გადაფასებიდან მიღებული სხვაობა მოგებასა და ზარალს შორის აღიარდება თვის ჭრილში სავალუტო ანგარიშების გადაფასების შედეგად.

		2,018
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	9	42,262

პერიოდის მოგება, მოიცავს მოგების გადასახადის ხარჯს.

		2,018	2,017
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	49,787	745,141

ფულადი სახსრები ბანკში გამოსახულია ეროვნულ ვალუტაში. სავალუტე ნაშთები გადაფასებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 31/12/2018-ით გამოცხადებული გაცვლითი კურსის მიხედვით ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი - 2.6766
ევრო - 3.0701

		2,018	2,017
მარაგები	11	694,193	232,444

მომსახურების შესრულების პროცესში საჭირო საქონლისა და მარაგის ნაშთი
პერიოდის ბოლოსთვის

		2,018	2,017
ძირითადი საშუალებები	12	38,806	5,530

ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები შემცირებული დაგროვილი
ცვეთით და ნაჩვენებია საბალანსე ღირებულებით . კომპანიის საკუთრებაში არ
აღირიცხება უძრავი ქონება.

		2,018	2,017
სავაჭრო ვალდებულებები	13	883,538	693,897

სავაჭრო ვალდებულებები წარმოშობილია როგორც ადგილობრივი მომწოდებლებისგან ასევე
არარეზიდენტი მომწოდებლების შესყიდვებიდან.

		2,018
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	14	(349,860)

პერიოდის განმავლობაში გამოცხადებული და გადახდილი
დივიდენდი.

		2,018
კაპიტალის სხვა ცვლილებები	15	(91,669)

წინა პერიოდის ბალანსის შემდგომი მოვლენების კორექტირება, ასახულია კაპიტალის
სხვა ცვლილებებში.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია
2019 წლის 30 სექტემბერს